92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №10 (7133) 15 მაისი, 2025 წელი

მრავალჟამიერ ცივილიზაციის ისტორიაში დავანებულო ჩვენო საყვარელო ქალაქო!

ქალაქის დღე და „გვირილობა“ ქუთაისში

სადღესასწაულო ზეიმი ბაგრატის ტაძარში ტრადიცულად ზარების რეკვითა და ჩოხოსნების კურთხევით დაიწყო. მეუფე იოანემ ლოცვა-კურთხევა აღავლინა და ქალაქი დალოცა. ლიტურგიას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც შეამკეს ქუთაისის კოლორიტების სამი ოთარის (ოთარ ქორქია, ოთარ მამფორია, ოთარ სულაბერიძე) ძეგლები. „ქუთაისქალაქობა 2025“ - სახალხო დღესასწაულის ფარგლებში მთელი დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა აქტივობა (კულტურული, სპორტული, საბავშვო-შემეცნებითი, გასართობი). ასევე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სადაც თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარგზავნილებმაც მიიღეს მონაწილეობა.

დასახელდნენ ქუთაისის ახალი საპატიო მოქალაქეები. ლ. მესხიშვილის სახ. პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი.

დღის ბოლოს კი თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე შედგა გალა-კონცერტი.

„წმიდა გიორგის ნათელი ზედ მოჰფენია გორასა“...

6 მაისი, გიორგობა, გოგნი, დილის 6 საათი...

☞8



„სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“

გვაქვს ქართველებს გამორჩეულად სადღესასწაულო და სათაყვანებელი დღეები, ყოველწლიურად საყოველთაოდ ფართომასშტაბიანი ღონისძიებებით რომ აღინიშნება და ასეთი ერთ-ერთი უპირველესი დედაენის დღეა.

დიახ, დედაენის დღე, რომელსაც 14 აპრილს ვზეიმობთ, ეროვნული დღესასწაულის ტოლფასი დღეა. თითოეული ღონისძიება, რომელიც ამ დღეს ეძღვნება სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა თუ სკოლისგარეშე ცენტრებში ჩვენი საამაყო დედაენის მოფერების, გაფრთხილების, სიყვარულის, მისი მნიშვნელობის გააზრების, თუ მოვლა-პატრონობის აუცილებლობითაა ნაკარნახევი...

სწორედ ასეთი დატვირთვა ჰქონდა რუფოთის საჯარო სკოლაში 15 აპრილს გამართულ ულამაზეს ღონისძიებას...

☞3

ფაშიზმზე გამარჯვების დღე...

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 80 წელი გავიდა.

2025 წლის 9 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ბარათაშვილთან ერთად გვირგვინით შეამკო გმირთა დიდების მემორიალი ქალაქ თერჯოლაში და ომის გმირის - დავით ჯაბიძის მემორიალი სოფელ ჩხარში.

ომში გარდაცვლილი გმირების სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს სასულიერო პირებმა.

მემორიალთან სამხედრო პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოქალაქეები იმყოფებოდნენ.

მთავრობის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები 2 000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 1 000 ლარს მიიღებენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება

„თერჯოლა“ თავის მკითხველს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას თერჯოლელი სპორტსმენების შესახებ, რომლებმაც მიმდინარე წლის განვლილ პერიოდშიც კარგი შედეგი აჩვენეს.

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები დააჯილდოვა.

ჯილდოები გადაეცათ ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლის სპორტსმენებს, რომლებმაც 2025 წელს, ევროპასა და საქართველოში გამართულ ჩემპიონატებზე საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

საპრიზო ადგილების მფლობელ სპორტსმენებს, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, დიპლომები და ფულადი ჯილდოები გადასცეს საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილმა და საკრებულოს სპორტის კომისიის ხელმძღვანელმა გრიგოლ გიორგაძემ.

დაჯილდოვებული არიან:

ლუკა ნიქაბაძე - ევროპის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-3 ადგილი)

ქეთევან ბუცხრიკიძე - ევროპის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-3 ადგილი)

დათო ხუჯაძე - საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში (1-ლი ადგილი)

დიანა ქასრაშვილი - საქართველოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-2 ადგილი)

თამარ ზარნაძე - საქართველოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-2 ადგილი)

გიორგი ლომიტაშვილი - საქართველოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-3 ადგილი)

ზურაბ გავაშელაშვილი - საქართველოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-3 ადგილი)

ზაზა გაბრიჭიძე - საქართველოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-3 ადგილი)

ლუკა კირკიტაძე - საქართველოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-3 ადგილი)

ლუკა სოფრომაძე - საქართველოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (მე-3 ადგილი)

მწვრთნელები: **ლერი ჯიხვაშვილი, მალხაზ თურქაძე.**

ლუკა ბუიღლიშვილი - საქართველოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მე-3 ადგილი)

გიგა ჭეიშვილი - საქართველოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მე-3 ადგილი)

გიორგი ჩოგოვაძე - საქართველოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მე-3 ადგილი)

გიგა ჩაფიძე - საქართველოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მე-3 ადგილი)

იური ჩაფიძე - საქართველოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მე-3 ადგილი)

მწვრთნელი - **გიგა ჩაფიძე**

ნიკოლოზ ბრეგვაძე - საქართველოს პრიზიორი ძიუდოში (მე-3 ადგილი)

მწვრთნელი - **ლერი რობაქიძე**

ღონისძიება, რომელიც მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივითა და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა, ახალგაზრდა სპორტსმენთა წახალისებას და მხარდაჭერას ისახავდა მიზნად.

მასწავლებელთა კონფერენცია—პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ განუყოფელი ნაწილი

დამთავრდა ღია გაკვეთილები. 1 მაისს კი ამ პროექტის განუყოფელი ნაწილი—მასწავლებელთა კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები. ბატონმა მანუჩარმა მაღალი შეფასება მისცა არა მარტო ამ კონფერენციას, არამედ საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქმიანობას, პროექტებს, რომელიც ქალბატონ ქეთევან შეყრილაძის ხელმძღვანელობით, რესურსცენტრის თანამშრომლების და სკოლების მრავალმხრივი ჩართულობით ხორციელდება, მადლობა გადაუხადა პედაგოგებს და კვლავაც მხარდაჭერას დაჰპირდა. თავის მხრივ რესურსცენტრის ხელმძღვანელმა და კონფერენციის მონაწილე პედაგოგებმა მერის და მერიის თანამშრომელთა ყურადღებასა და თანადგომას გაუსვეს ხაზი.

კონფერენციაზე 20 თემა იყო წარმოდგენილი. ყველა მეტად აქტუალური და საინტერესო.

კონფერენციაზე თემებით წარსდგნენ:

1. **ნატო კვეტენაძე** - ხელოვნური ინტელექტი სკოლაში - ქალაქ თერჯოლის N1 საჯარო სკოლა
2. **თეა რიჟამაძე** - ინტერიერის დიზაინი - ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლა
3. **ანა ჭანტურიძე** და **ინგა გაბრიჭიძე** - ბუნებრივი კატასტროფები, საგზაო წესები და მოძრაობის უსაფრთხოება - ალისუბნის თემის №1 საჯარო სკოლა
4. **ნინო გვენეტაძე** - მე რომ მეფუტკრე ვიყო - ალისუბნის თემის №2 საჯარო სკოლა
5. **მელანო გაბეხაძე** - სამედიცინო იდეები „ვეფხისტყაოსანში” - ახალთერჯოლის საჯარო სკოლა
6. **ნინო ამბროლაძე** - ნიჩბით შეიარაღებული ისტორია - გოდოგნის საჯარო სკოლა
7. **შორენა აბესაძე** - წარსულის ანალიზი ფორმულებით - გოდოგნის საჯარო სკოლა
8. **სოფიო ცეცხლაძე** - არქეოლოგიის როლი ისტორიის შესწავლაში - ეწრის საჯარო სკოლა
9. **ირინა აბულაძე** - ხალხური მედიცინა ქართულ ლიტერატურაში - ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა
10. **თამარ გოგბერაშვილი** - თუზის თემის არქიტექტურა ისტორიის გაკვეთილზე - თუზის საჯარო სკოლა
11. **თამარ შანიძე** - მე ვირჩევ პროფესიას - კვახჭირის საჯარო სკოლა
12. **სოფიო შავგულიძე** - მე რომ ტურისტული გიდი ვიყო... - ნაგარევის საჯარო სკოლა
13. **მაია მელუავა** - ჩემი საყვარელი პროფესია - ნახშირღელის საჯარო სკოლა
14. **თეა დოლაკიძე** - „სტემ-პროექტების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში” - ეწერი / რუფოთი / ,,მზეკაბანი 2007”
15. **ია კვატაია** - სამართლის საკითხები ქართულ ლიტერატურაში - სიქთარვას საჯარო სკოლა
16. **შორენა კახიძე** - სამართალი და წესრიგი კანონიერების საფუძველი - სიქთარვას საჯარო სკოლა
17. **ანა ტაბატაძე** - როგორ ვასწავლი სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე სამართლებრივ საკითხებს - სიქთარვის საჯარო სკოლა
18. **დარეჯან ჭანტურიძე** - მე რომ არქიტექტორი ვიყო - ღვანკითის საჯარო სკოლა
19. **ნინო ფერაძე** - კიბერ სპორტი - ჭოგნარის საჯარო სკოლა
20. **ნათია ქურცაძე** და **ირმა ბაჭვაძე** - ბუნებისა და ისტორიის გზაჯვარედინზე - ჩხარის N1 საჯარო სკოლა.

იმსჯელეს ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 30 აპრილს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, სკოლამდელი განათლების საკითხებზე, რომელიც თერჯოლის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა მაია თორთლაძემ გახსნა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს წარმომადგენელმა, მარიამ ჩიბუხაშვილმა, ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე, მშობლისა და აღმზრდელის საერთო მიზანზე, ბავშვის უფლებების დაცვასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძე, მერიის, საკრებულოს, რესურსცენტრის წარმომადგენლები, საბავშვო ბაღების საკონსულტაციო საბჭოს წევრი მშობლები, საბავშვო ბაღის მენეჯერები, მეთოდისტები და აღმზრდელ-პედაგოგები.

შეხვედრა ჩატარდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ორგანიზებით.

სასკოლო ოლიმპიადა

მაისის პირველ დეკადაში ქ. თერჯოლაში ჩატარდა საქართველოს მე-2 სასკოლო ოლიმპიადის პირველი ეტაპი—რაიონული პირველობა ჭადრაკში „ნონა გაფრინდაშვილის თასი“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-II კლასის მოსწავლეთა შორის (გუნდური)—ორგანიზატორი: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის

სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია; აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა: შპს მზეკაბანი-2007, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, სოფ. სიქთარვის საჯარო სკოლა, უშანგი სოფრომაძის სახელობის სოფ ძევრის საჯარო სკოლა. გამარჯვებული გახდა თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი და მონაწილეობას მიიღებს რეგიონულ ტურნირში. გუნდის შემადგენლობას იცავდნენ: 1. მაკარიძე ბარბარე 2. კუტალაძე მართა 3. რობაქიძე გიორგი 4. ქარქაშაძე ლაზარე. გუნდის კაპიტანი ნონა კუპატაძე.

დედაენას მიეძღვნა

14 აპრილი ის დღეა, გულგრილს რომ არავის ტოვებს, ასეა სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლაშიც. აქ კვლავ ინტერესით და სიახლის მოლოდინით შეიკრიბნენ რაიონის ინტელიგენცია, აღსაზრდელთა მშობლები და ახლობლები, ახალგაზრდები, სკოლის აღსაზრდელები, ნორჩი მხატვრები და სკოლის პედაგოგები.

ვინც წამიერადაც კი თვალის შევლება მოასწრო საგამოფენო სივრცისათვის კარგად მიხვდა, რომ სრულიად ახალი, მოსწავლეთა ახალი შესაძლებლობების, მათი ნიჭიერების მოწმენი გახდნენ...

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა დედაენის დღე მიულოცა შეკრებილ საზოგადოებას და ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მომზადდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც წინა წლების შესაბამისი თემატიკის გამოფენებისაგან სრულიად განსხვავებულია.

☞3

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“

„სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“

1☞

ყველაფერი მომაჯადოებლად ლამაზია, როცა რუფოთის საჯარო სკოლისაკენ მიმავალ გზას მიუყვები.

მრავალწლიანი, ტანმაღალი ძელქვებით შემოჯარულ კარგად მოვლილ-ნაპატრონევ ეზოში დგას სკოლის შენობა, იქვეა სპორტული მოედანიც.

შენობაში სითბო, სისუფთავე, სილამაზე და დადებითი ემოციები გეგებება მოსწავლეთა, მასწავლებელთა თუ სკოლის ტექნიკური მუშაკების სახეებიდან. საზეიმო მორთულობაა ფოიეში, თითოეულ საკლასო ოთახში. ანბანი, ფერადი ბუშტები, ღრმაშინაარსიანი „სლაიდები“, უამრავი ყვავილები და ა.შ. ძალიან უხდება ინტერიერსა თუ ადამიანთა განწყობას...

ღონისძიებას სკოლის დირექტორი კოტე გოგიაშვილი, მოადგილესთან ნინო სოფრომაძესთან და პედაგოგებთან ერთად ესწრება.

აქ არიან ღონისძიების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნორა გოგიაშვილი და მუსიკის პედაგოგი ეთერ ივანაშვილი. მონაწილე მოსწავლეები და საღამოს წამყვანები ნინო ოქრუაძე და გიორგი კვანტიძე უკვე თავიანთ ადგილს იკავებენ. ლამაზი გოგო-ბიჭები ძალიან შვენიან „სცენას“.

ლამაზი მუსიკა და დედაენის დღის მილოცვის პირველი სტრიქონები ჟრუანტელისმომგვრელი სილამაზით ებმის ემოციებსა და თითოეულის განწყობას...

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია უამრავ საინტერესო ამბავს, ინფორმაციას ქართული ენის წარმომავლობის, მისი ისტორიის და მნიშვნელობის შესახებ, გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებს, პოეზიის ნიმუშს, ცეკვისა თუ სიმღერის ნომერს მოიცავს და მონაწილე მოსწავლეები საუკეთესოდ ახერხებენ მაყურებლებთან ეს ყველაფერი ლამაზად და ამაღლებულად მიიტანონ...

ითქვა: რომ მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან ერთი ქართულია და 14 ანბანიდან სწორედ ქართული ანბანია ერთ-ერთი უძველესი და პირველი, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვდა, რომ 14 ანბანიდან ერთადერთი ქართული ანბანია, რომელსაც სამი ცოცხალი სახეობა გააჩნია და ეს აღიარა მსოფლიომ. ეს გვაძლევს უფლებას სრულიად საქართველო გამორჩეული პატივით, სიყვარულით, სიამაყით და მოწიწებით ვმადლობდეთ უფალს, იმ დიდებულ წინაპართა გამო, რომელთა მეოხებითა და გონიერებით ასეთი საგანძური გვხვდა წილად...

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას“.

„ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“—როგორც წმინდანად შერაცხულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დიდმა ილიამ დამოძღვრა ყველა დროისა და ეპოქის ქართველობა.

რომ საქართველოსთვის ყოველთვის და დღეს განსაკუთრებულად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დედაენის, ზოგადად კულტურის, ისტორიისა და აწმყოსეული პრობლემების კარგად გააზრებისა და ამ პრობლემების მცოდნე მომავალი თაობების აღზრდას, რასაც, ბუნებრივია, ემსახურება ქართული ენის დღის აღნიშვნაც, რომელსაც 1978 წლის 14 აპრილს დაედო სათავე, ანუ დღიდან, როცა ქართული ენის დასაცავად თბილისის ქუჩებში ასიათასზე მეტი ქართველი გამოვიდა.

მოსწავლეები გატაცებით კითხულობდნენ გამოჩენილ პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა ლექსებს და გამონათქვამებს, რომელთა ავტორებმა თავის დროზე დიდი გულწრფელობით და სიყვარულით მიუძღვნეს ქართულ ენას, როგორც უპირველესს ენათა შორის, როგორც „ღმერთების ენას“, „აკვნის ჰიმნს“ და ა.შ.

„მსოფლიოს მერვე საოცრებად“ აღიარებულ ქართულ ენას იმდენი სახოტბო სტრიქონები აქვს მიძღვნილი, არც ერთი სხვა ქვეყნის ენისათვის, რომ არ მიუძღვნიათ, მარტო ირაკლი აბაშიძის „ო, ენავ “ რად ღირს... ეს ლექსი და სხვა მრავალი. ღონისძიებას გაჰყვა ბოლომდე კარგად შერჩეულ ლამაზ მუსიკასთან ერთად. ლექსის წაკითხვაც ნამდვილად ხელოვნებაა, რაც ძალიან კარგად შეძლეს ნინი ოქრუაძემ, გიორგი კვანტიძემ, გიორგი ჭანტურიძემ, გია გოგბერაშვილმა, ნიკოლოზ სოფრომაძემ, სალომე რიჟამაძემ, ნიკოლოზ ჭანკვეტაძემ, საბა სამძარაძემ.

ღონისძიებას ძალიან მოუხდა სიმღერისა და ცეკვის ჩართულობა, რომელსაც კარგად გაართვეს თავი მომღერალთა ტრიომ: ნათია ჭანკვეტაძის, ლილე გოგბერაშვილისა და მონიკა სხილაძის შემადგენლობით. მათ რამდენიმე სიმღერა შეასრულეს. აპლოდისმენტები დაიმსახურა აგრეთვე ანიტა სოფრომაძემ.

ულამაზესი ცეკვები წარმოადგინეს: სესილი ცქიფურიშვილმა, გიორგი სამხარაძეა, მონიკა სხილაძემ, ნიკოლოზ ჭანკვეტაძემ.

ღონისძიება გაალამაზა პატარების ვალსმა, თეკლა სოფრომაძის, ანასტასია ოქრუაძის, ანი ჭანკვეტაძის, როინი ოქრუაძის და ანდრია ლომიძის მონაწილეობით...

ნორა მასწავლებლის ხელმძღვანელობით არაერთი მაღალი დონის ღონისძიება გვინახავს ამ სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით, ერთ-ერთი სწორედ ასეთი იყო დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მრავალი საინტერესო ჩართულობითა და მხატვრული გაფორმებით.

რუფოთის საჯარო სკოლაში ეს ღონისძიება ერთადერთი არ ყოფილა, რომელიც 2025 წლის 14 აპრილის ზეიმს მიეძღვნა. იყო აგრეთვე პირველი საფეხურის კლასების კათედრის მიერ ორგანიზებული დედაენის დღისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი და შემეცნებითი აქტივობებით დატვირთული საზეიმო აღნიშვნა, ასევე V-VI კლასელთა ერთობლივი ღონისძიება.

ყოველივე ამას კი თავისი დატვირთვა აქვს და ორიენტირებულია მრავალმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის ფორმირებაზე. ამისათვის კი ყველაფერი კეთდება რუფოთის საჯარო სკოლაში.

დედაენას მიეძღვნა

2☞

„გაჩნდა იდეა, რომ მოსწავლეებს გამოფენისათვის დაეხატათ გამოჩენილ პოეტთა, მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები და თავისი ხელწერით შესრულებული მათ მიერ გამოთქმული მნიშვნელოვანი ფრაზები თუ ამონარიდები მათი ნაწარმოებებიდან... ნუ ვიქნებით კრიტიკულები პორტრეტების შესრულებასთან დაკავშირებით, რამეთუ არ არის ეს ადვილი. თუმცა ეს გამოფენა მრავალმხრივ საყურადღებოა და მე მინდა თითოეულ ჩვენს მოსწავლეს მადლობა ვუთხრა. ჩემო ძვირფასებო, თქვენ კარგად გაართვით თავი დავალებას. ეს ადამიანები, მათი ეს ფრაზები ჩვენი სამშობლოს წარსული, დღევანდელობა და სამომავლო სიმდიდრეცაა. თქვენ გვაჩუქეთ არაჩვეულებრივი დღე...

დღევანდელი დღე თითოეული ჩვენთაგანისათვის სიამაყის დღეა. იცით თქვენ, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ 1978 წლის 14 აპრილს საქართველომ გაიმარჯვა ენის დაცვისათვის გამართულ „ბრძოლაში“. მან შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი. მუდამ გამარჯვების გზებით ევლოს ჩვენს ქვეყანას და თქვენ თითოეულს“|— მიმართა მოსწავლეებს და შეკრებილ საზოგადოებას ქალბატონმა თამარმა.

გამოფენის მიმართ და საერთოდ სკოლაში მიმდინარე მუშაობის შეფასებისას თავისი დადებითი ემოციებით და უსაზღვრო მადლიერებით ისაუბრა მამა ანდრიამ (ყიფიანი).

გამოფენას, რომელიც დედაენის დღეს მიეძღვნა მაღალი შეფასება მისცა განათლების რესურსცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ. მან ისაუბრა აგრეთვე დედაენის დღის მნიშვნელობაზე, ქართული ანბანისა და დამწერლობის დანიშნულებაზე. მისი დაცვისა და განვითარებისათვის თითოეულის პასუხისმგებლობაზე.

სამადლობლით დაიწყო თავისი გამოსვლა და შეფასება გურამ თურქაძემ... **„თამარისა და მისი გუნდის ფანტაზიებსა და შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს. ეს რაც დღევანდელ გამოფენაზე წარმოადგინეს არის საუკეთესო მიგნება იმისა, როგორი მეთოდებით გახდნენ ახალგაზრდები, მოსწავლეები თუ დამთვალიერებლები უფრო მეტად ინტელექტუალურები და მრავალმხრივ განვითარებულები. შევთავაზოთ სკოლებს, ნახოს ყველამ ეს გამოფენა და ეზიარონ იმ სიბრძნესა და რჩევა-დარიგებებს, რომელზეც იზრდებოდა ჩვენი თაობა“.**

მილოცვა, სამადლობელი და მაღალი შეფასება გააჟღერა თავის გამოსვლაში სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლის დირექტორმა ბატონმა ვალერი კუბლაშვილმა. **„აქ ბავშვები ხელოვნებისა და სამშობლოს სიყვარულში იზრდებიან... წარმატებები თითოეულ მათგანს“...**

გამოფენის დამთვალიერებლებს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეუერთდა მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე. მან ახალი გამოფენის გახსნა და დედაენის დღე მიულოცა სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს და ყველა დამთვალიერებელს, ხაზი გაუსვა გამოფენის შინაარსობრივ დატვირთვას და მის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას. **„ეს არის დიდი სიყვარულით, პასუხისმგებლობით ქვეყნის მსახურების ნათელი მაგალითი. ქალბატონი თამარი და სკოლის პედაგოგები არა თუ ჩვენგან, არამედ სრულიად თერჯოლის მოსახლეობისაგან იმსახურებენ მადლობას იმ საქმიანობისათვის, რაც ამ სკოლაში მიმდინარეობს და ეს უპირველესად ღირსეული მამულიშვილების აღზრდაა“,** აღნიშნა თავის გამოსვლაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ.

მზია ცქიფურიშვილი

„ვირჩევ პროფესიას“—რესურსცენტრის პროექტი თაობის პროფესიული ორიენტაციისათვის

ერთი კლასის მოსწავლეები

ჭოგნარის საჯარო სკოლის მე-7 კლასში 15 მოსწავლეა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში, ღია გაკვეთილი ორჯერ ჩატარდა. ქართულში (მასწავლებელი ნინო კვიმსაძე) და მათემატიკაში (მასწავლებელი და სკოლის დირექტორი ინგა ხუჯაძე).

ამ კლასის მოსწავლეთა თვითგამორკვევის პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ რა პროფესიაც არ უნდა აირჩიონ, წარმატებულები იქნებიან. სრულ და საბოლოო დასკვნას ვერ გამოვიტანთ, მაგრამ ეს გარკვეული ნიშნით ამ გაკვეთილებმა აჩვენა.

გაზეთ „თერჯოლის“ იმ ნომრის, ის წერილი, რომელშიც მოკლედ და მოკრძალებულად არის აღწერილი ქართულში, ნინო კვიმსაძის მიერ ჩატარებული გაკვეთილის მსვლელობა, მრავალ სხვა სასწავლო რესურსთან ერთად, საკლასო ოთახშია გამოკრული. ნინო მასწავლებელმა თქვა, რომ გაზეთი მასწავლებლებს „წაართვა“ და ბავშვებს დაურიგა.

ღია გაკვეთილი—მათემატიკა

მასწავლებელმა ინგა ხუჯაძემ (იგი სკოლის დირექტორიც არის) მოსწავლეებს გაკვეთილის თემა—„ამოცანების ამოხსნა ალგებრული მეთოდით“ და მიზანი, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თავიდანვე გააცნო და ისიც განუმარტა, რა უნდა შეძლონ მათ ამოცანის ამოხსნის დროს, როგორ შეაფასონ ამოცანის ამოხსნის შემდეგ მიღებული შედეგი.

მოგვარდა საორგანიზაციო საკითხები, მოსწავლეები განეწყვნენ საგაკვეთილო პროცესისათვის. ახალი მასალის ასათვისებლად, მოსწავლეებმა უპასუხეს რამდენიმე კითხვას და შემდეგ მიეცათ სამოტივაციო ამოცანა. ორი ქალაქიდან ერთდროულად ერთმანეთის შესახვედრად ორი ველოსიპედისტი გაემართა. ერთის სიჩქარე 12 კმ/სთ, რაც 3 კმ/სთ-ით ნაკლებია მეორის სიჩქარეზე. მათი შეხვედრისას აღმოჩნდა, რომ მეორეს პირველზე 12 კილომეტრით მეტი ჰქონდა გავლილი. ამოცანის ამოხსნაში ჩაერთო კლასი. მათ ადვილად იპოვეს ქალაქებს შორის მანძილი, მანამდე კი უპასუხეს მასწავლებლის რამდენიმე შეკითხვას. დასახელდა, ცხადია მასწავლებლის დახმარებით, სავარაუდოდ ახალი გაკვეთილის თემა—ამოცანების ამოხსნის ალგებრული მეთოდი. მინი ლექციის შემდეგ, მოსწავლეების ჩართულობით ამოხსნეს რამდენიმე სამოტივაციო ამოცანა. საამისოდ კლასი დაიყო სამ ჯგუფად, მასწავლებელი აკვირდებოდა ჯგუფების მუშაობას, დაფასთან გამოძახება მოხდა შემთხვევითობის პრინციპით. მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით სამივე ჯგუფს მიეცა ერთნაირი ამოცანა, რომელიც ამოხსნეს ალგებრული მეთოდით. დაფასთან პრეზენტაცია გააკეთა იმ ჯგუფის წარმომადგენელმა, რომელმაც პირველმა გასცა პასუხი შეკითხვას. ჯგუფებს მიეცათ სახალისო ამოცანა—ქალაქის ერთი პუნქტიდან მეორეში მიდიოდა ველოსიპედისტი. მას შეხვდა ველომბროლელთა ჯგუფი. ველოსიპედისტმა ჰკითხა: ორასივე ერთი მიმართულებით მიდიხართ ალბათ. ველომბრბოლელებმა უპასუხეს: ჩვენ 200 არ ვართ. ჩვენთან ერთად თუ წამოვა კიდევ ერთი იმდენი, რამდენიც ჩვენ ვართ, კიდევ 50 % და კიდევ 25%, ამასთან შენზე 100 პროცენტით მეტი, მაშინ ვიქნებით 200. დაისვა კითხვა—რამდენი ველომბრბოლელი მიდიოდა? მოსწავლეებმა ადვილად გამოიცვნეს ველომბრბოლელთა ოდენობა, ამოხსნეს რამდენიმე სახალისო ამოცანა, ისაუბრეს აქციაზე „ნარჩენები ჩვენ სასარგებლოდ“.

მასწავლებელმა შეაჯამა გაკვეთილი, შეაფასა მოსწავლეები, ცოდნა, მისცა საშინაო დავალება.

შეფასება მოხდა რამდენიმე კრიტერიუმით. გაკვეთილის პროცესში ჩართული იყო ყველა მოსწავლე, ისინი უსმენდნენ ერთმანეთს და საჭიროების დროს უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს, დროის ლიმიტს იცავდნენ ზუსტად. ამოცანები ამოხსნეს ალგებრული მეთოდისათვის დამახასიათებელი ყველა ეტაპის დაცვით, ამასთან შეუძლიათ გამოიყენონ ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა ხერხი.

მოსწავლეებმა შეავსეს კროსვორდი.

გაკვეთილი მათემატიკაში—ამოცანის ამოხსნის ალგებრული მეთოდი—მაღალ დონეზე შეაფასეს კომისიის წევრებმა, ითქვა, რომ მოსწავლეებმა შეძლეს—ტექსტური ამოცანების ამოხსნა ალგებრული მეთოდით, ამოხსნეს პროცენტის ცნებასთან დაკავშირებული ამოცანები განტოლების შედგენით და შეადარეს განტოლების გარეშე ამოხსნის ხერხებს.

ღია ინტეგრირებული გაკვეთილი ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლა

ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი ნათია აბულაძე) საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში ღია ინტეგრირებული გაკვეთილი ჩატარდა მე-3 კლასში, საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე და საზოგადოება და ინგლისურ ენაში (მასწავლებლები: ხათუნა გვენეტაძე, ნათია აბულაძე, ია ცერცვაძე—სპეციმასწავლებელი).

კლასში 11 მოსწავლეა. საინტერესო იყო გაკვეთილის თემა—თავდაცვა და უსაფრთხოება.

გაკვეთილის მიზანი: ანიმაციური ზღაპრისა და ნასწავლი ლიტერატურული ტექსტის გააზრებითა და მსჯელობით მოსწავლეებმა უნდა შეძლონ: საფრთხის შემცველი სიტუაციების განსაზღვრა, სახიფათო სიტუაციებში ქცევის შესწავლა, სახიფათო სიტუაციების შემჩნევა, გაიაზრონ რა არის საფრთხე და რატომ წამოიჭრება იგი, საკუთარი სიცოცხლის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, 112-ის დანიშნულების განსაზღვრა.

გაკვეთილის თემა და მიზანი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის მოსმენა, გაგება-გააზრება, გადმოცემა, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟების ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა, მიწოდებული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება, საგანგებო და ცხოვრებისეულ სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება, საგანგებო სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა, ბავშვის მოვალეობების გაცნობიერება, ოჯახსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება.

რა, როგორ შეძლეს მესამეკლასელებმა

მასწავლებლებს, დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, წარმოდგენილი ჰქონდათ მრავალი რესურსი და სხვა საჭირო მასალა, უჩვენეს ანიმაციური ზღაპარი „სამი გოჭის ამბავი“ (საგულისხმოა, რომ ზღაპარი—ფილმი ყველას ნანახი ჰქონდა). დაისვა საკვანძო კითხვები: რატომ და როგორ უნდა დაიცვა უსაფრთხოების წესები საცხოვრებელ ადგილზე, როგორ უნდა მოვიქცეთ საგანგებო სიტუაციებში და სხვა, რომელზეც მოსწავლეებმა ამომწურავი პასუხი გასცეს. ისაუბრეს ფილმის ირგვლივ, მიხვდნენ რატომ აშენებენ გოჭები სახლებს, რომელი საჭიროების დაკმაყოფილება სურდათ, და საფრთხისაგან უნდა დაეცვათ თავი.

ფორმატზე წარმოდგენილი სიტყვის პირამიდის სქემით, მისი შევსებით და დახმარებით ახსნეს და განსაზღვრეს სიტყვა „საფრთხე“-ს მნიშვნელობა. უპასუხეს კითხვებს: რა საფრთხე შეიძლება დაემუქროთ ადამიანებს ცხოვრებაში, გააანალიზეს ლიტერატურული ტექსტი—იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „თავის გაწირვა მტრისათვის“ და მის მიხედვით განსაზღვრეს სიტუაციური საფრთხე, შეაფასეს პრობლემა და მისი მოგვარებისათვის ეძიეს გზები, იყო მსჯელობა საფრთხის შესახებ და შეავსეს ცხრილი—რამ ან ვინ შეიძლება შეუქმნას საფრთხე ადამიანს.

ჩამოთვალეს საფრთხეები, როდის იქმნება ის და რომელი ქცევის დარღვევა იწვევს საფრთხეს, ყურადღება გაამახვილეს ქცევის წესებზე და ჩამოთვალეს ის, ჩამოაყალიბეს წესები, რომელიც უნდა დაიცვან სახლში, რადგან „ხიფათი სახლშიც მოიძებნებაო“.

იყო საუბარი 112-ის დანიშნულებაზე, შემთხვევაზე, როცა 112-ში ვრეკავთ: სასწრაფო, მეხანძრე-მაშველი, პატრული.

გაითამაშეს იმიტაცია „ზარი 112-ში“, მოისმინეს ვიდეო-ჩანაწერები—112-ის მომზადებული ვიდეო—რგოლები ბავშვებისთვის, გაიხსენეს ზებრა გადასასვლელებზე გადასვლის წესები და შუქნიშნის დანიშნულება, შუქნიშნის ფერები: წითელი, ყვითელი, მწვანე. ჩაატარეს ცდა, რაც ხელს უწყობს ცეცხლის სწრაფად ჩაქრობას. პასუხობდნენ კითხვებს: როგორ ავიცილოთ ხანძარი, როგორ დავიცვათ ხანძრისგან თავი, როგორ მოვიქცეთ ხანძრის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებში როგორ ვმართოთ თავი და როგორ უკავშირდება უსაფრთხოების დაცვას ქართული ანდაზები, ჩამოთვალეს ეს ანდაზები... იყო მსჯელობა.

მოსწავლეებს დაურიგდათ სამახსოვრო ბარათები და დაევალათ მათი შევსება. გაიგეს დავალების პირობა—ნახატ-სამახოვროზე უნდა აღნიშნონ ის ადგილები, რომელიც სახიფათოა. თემებიდან და აქტივობებიდან გამომდინარე პარალელი გაავლეს საკუთარ გამოცდილებასთან.

მასწავლებლებმა შეაფასეს მოსწავლეები. გაკვეთილის დასასრულს შედეგი ასეთი დადგა: მოსწავლეებს შეუძლიათ საფრთხის სიტუაციების შემჩნევა, განსაზღვრა, ხიფათის დროს ქცევის მართვა, საკუთარი და სხვების სიცოცხლის მიმართ მზრუნველი, ფრთხილი დამოკიდებულება, 112-ში ზარის განხორციელება საგანგებო სიტუაციის დროს.

მოსწავლეები შეფასდნენ რამდენიმე კრიტერიუმით—ტექსტში ეძებს და პოულობს საჭირო ინფორმაციას, ავლებს პარალელს თემასა და წარმოშობილ საფრთხეებს შორის, მსჯელობს, მოჰყავს მაგალითები, არგუმენტირებულად აფასებს სიტუაციას, ნათლად გამოხატავს და აყალიბებს საკუთარ აზრს—შეფასებისას უმეტეს შემთხვევაში გამოიყენებოდა სიტყვები—ხშირად, ყოველთვის.

***

ანიმაციური ზღაპარი „სამი გოჭის ამბავი“ აჩვენეს ინგლისურ ენაზე. მოსწავლეებმა, რადგან კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, გაიგეს ზღაპრის შინაარსი, პასუხობდნენ დასმულ კითხვებს. „ეს იყო ხმაურიანი, მაგრამ საინტერესო გაკვეთილი“—ითქვა და ნამდვილად ასე იყო, რადგან თითოეული მოსწავლე კარგად ერკვეოდა საკითხში და ერთმანეთს ასწრებდნენ პასუხს, გაკვეთილი მაღალ დონეზე შეაფასა კომისიამ.

ჟუჟუნა ცხადაძე

რას ფიქრობს მომავალი თაობა

ფიქრები ოთხ მნიშვნელოვან მოვლენაზე

ბოლო ზარის ზეიმი, უმაღლეს სასწავლებელში სასურველ პროფესიაზე ჩარიცხვა, გრანტის მოპოვება და მედლების გადაცემა მნიშვნელოვანი მოვლენა არის ახალგაზრდების ცხოვრებაში. სწორედ ამ ოთხი მნიშვნელოვანი მოვლენის გამო კითხვით მივმართეთ მუნიციპალიტეტის სკოლების კურსდამთავრებულებს.

კითხვა: რა იგრძენით, როცა სკოლა დაამთავრეთ, სტუდენტიც გახდით და გრანტიც მოიპოვეთ, ახლახან კი მედლებიც მიიღეთ. როგორია თქვენი უახლოესი და შორს მიმავალი გეგმები?

სკოლის დამთავრება ჩემს გონებაში ემოციურ და ტკბილ -მწარე მომენტად დარჩა. ერთი მხრივ, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რადგან დავასრულე ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი

ეტაპი და წინ მქონდა კიდევ უამრავი გამოწვევა. მეორე მხრივ, გული მწყდებოდა იმის გამო, რომ ვტოვებდი ადგილს, სადაც დიდი დრო გავატარე და ბევრი ძვირფასი ადამიანი შევიძინე. თუმცა, ყველაზე მეტად მაინც მომავლის იმედი მქონდა - გრძნობა, რომ დაიწყო ახალი თავი ჩემს ცხოვრებაში. როდესაც გავიგე, რომ სასურველ ფაკულტეტზე მოვხვდი 100%-იანი დაფინანსებით, დიდი შვება და ბედნიერება ვიგრძენი. გავიაზრე, რომ ის შრომა და ძალისხმევა, რაც ამ ყველაფერში ჩავდე, დამიფასდა. მივხვდი, რომ სწორ გზაზე ვიყავი და რომ შემეძლო დამეძლია ის გამოწვევები, რომლებიც წინ მელოდებოდა.

უნივერსიტეტში ვაპირებ მაქსიმალურად ავითვისო ყველა შესაძლებლობა, რაც ჩემს სფეროში არსებობს. განსაკუთრებით მაინტერესებს კვლევითი პროექტები და მათში მონაწილეობის მიღება, რადგან მჯერა, რომ პრაქტიკული გამოცდილება თეორიულ ცოდნასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია. სამომავლოდ მიზნად მაქვს დავსაქმდე ისეთ პოზიციაზე, სადაც შევძლებ კვლევების ჩატარებას და მათ ანალიზს. მიმზიდველად მეჩვენება პროექტების მართვა, რადგან ეს საშუალებას მომცემს, გამოვიყენო როგორც ანალიტიკური, ისე ორგანიზაციული უნარები. გრძელვადიან პერსპექტივაში, მინდა ჩემი წვლილი შევიტანო საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში და ვიყო ცვლილებების ნაწილი. იქნება ეს კვლევით ინსტიტუტსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციაში, მთავარია, ჩემი საქმიანობა იყოს საზოგადოებისთვის სასარგებლო და პირადად ჩემთვის საინტერესო.

ანა ცხადაძე,
კერძო სკოლა „მზეკაბანის“ კურსდამთავრებული, თავისუფალი უნივერსიტეტის მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი.

როდესაც სკოლა ოქროს მედლით დავამთავრე, თითქოს ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დავხურე ჩემს ცხოვრებაში. ეს არ იყო მხოლოდ სიხარულის მომენტი — ეს იყო დრო, როცა საკუთარ თავს ვუთხარი: „შენ ეს შეძელი“. თუმცა სიმართლე ისაა, რომ მე არასდროს მიმაჩნდა თავი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულად. ვიყავი ერთი ჩვეულებრივი ბიჭი, დიდი ამბიციებითა და იმედებით. ის, რაც სხვებისთვის ზოგჯერ მარტივად მოდიოდა, მე ხშირად ბრძოლით და შრომით მიწევდა მოპოვება. სწავლა ჩემთვის არა სიამოვნება, არამედ გადარჩენის გზა იყო — გზა, რომლითაც თავი უნდა დამეღწია ცხოვრების იმ სირთულეებისთვის, რომლებიც ბავშვობიდანვე თან მდევდა.

როდესაც გავიგე, რომ უნივერსიტეტში 100%-იანი სტიპენდიით ჩავირიცხე, ეს ჩემთვის არ იყო უბრალოდ სიახლე — ეს იყო საოცარი დამადასტურებელი მომენტი იმისა, რომ ჩემი ბრძოლა შედეგის მომტანი აღმოჩნდა. ეს იყო არა მხოლოდ აკადემიუ-

რი მიღწევა, არამედ ახალი სამყაროს კარიბჭე. უნივერსიტეტი ჩემთვის წარმოადგენს სივრცეს, სადაც შანსი მეძლევა, კიდევ უფრო მეტად განვვითარდე — როგორც პროფესიულად, ისე პიროვნულად. ვხვდები, რომ ახლა უფრო რთული ეტაპი იწყება, სადაც მეტია კონკურენცია, მეტი გამოწვევა და პასუხისმგებლობა. მაგრამ ეს გზაც ისევე განვლადია, როგორც წინა, და მე არ ვაპირებ ფარ-ხმლის დაყრას. პირიქით, ვეცდები, რომ საკუთარი შრომით, ცოდნითა და უნარებით მტკიცე ადგილი დავიმკვიდრო ამ ცხოვრებაში.

ჩემს წარმატებას ახლობლებიც ემოციურად შეხვდნენ. ზოგიერთი განცვიფრებული იყო—ამბობდნენ, ზოგი მათგანი ხუმრობით, მაგრამ, ალბათ გულიდან წამოსული სიმართლით ამბობდა, რომ ვერც წარმოედგინათ, თუ ამ დონემდე მივაღწევდი და ასე ჭკვიანიც არ ვეგონე. შეიძლება ზოგისთვის არაფრით გამოვირჩეოდი, მაგრამ სწორედ ეს გახდა ჩემი უდიდესი მოტივაცია—დავამტკიცო, რომ შეუძლებელი არაფერია. რაც ყველაზე მეტად მიხარია, ისაა, რომ ჩემი მშობლების იმედები გავამართლე. მათი სიხარული ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს.

მომავალი კი ჯერ კიდევ გაურკვეველი გზებით სავსეა, მაგრამ ახლა უფრო მეტად ვიცი, რომ არ უნდა გავჩერდე. რაც არ უნდა რთული იყოს, ვეცდები ფონს გავიდე, გავიზარდო და დავიმკვიდრო ჩემი ადგილი — ისეთი, რომელიც მეკუთვნის, შრომით, წესიერებითა და რწმენით მიღწეული!

თორნიკე ცირეკიძე,
ქვედა სიმონეთის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტის სტუდენტი

სკოლის დასრულება ჩემთვის მნიშვნელოვანი მომენტი იყო – სიხარულისა და პასუხისმგებლობის ნაზავი. ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებას ნიშნავდა, სადაც უნდა შევხვედროდი ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. სასიხარულო და საამაყო იყო ოქროს მედლის მიღება, რომელიც დიდი მონდომებისა და შრომისმოყვარეობის შედეგი გახლდათ.

თორმეტწლიანი შრომა და მიზანდასახულობა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩაბარებამ და 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვებამ დააგვირგვინა. ეს ჩემთვის არა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერა იყო, არამედ დამატებითი მოტივაცია, რომ ეს ახალი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომეყენებინა. ამ დღემ ჩემი თავი თითქოს სხვა კუთხით დამანახა, დიდი როლი ითამაშა წარმატების უფრო ღრმად აღქმაში და გამიმაგრა რწმენა, რომ სწორი მიმართულებით მივდივარ.

გზა სასურველი შედეგისაკენ არ ყოფილა მარტივი და ამ ყველაფერს უდიდესი ღელვისა და ძალისხმევის გარეშეც არ ჩაუვლია. მაგრამ ბავშვობის ოცნება, შემდეგ კი მიზანი, მისაღწევი იყო და მეც მაქსიმალურად ვეცადე, ბოლომდე მივყოლო-

დი ამ გზას და წლების ოცნება რეალობად მექცია.

სტუდენტობამ მომცა უამრავი ახალი რესურსი და გამოცდილება, რომელთაც დიდი ინტერესითა და პასუხისმგებლობით ვიღებ. ჩემი მიზანია არა მხოლოდ ცოდნის მიღება, არამედ ამ პროცესში პიროვნული და პროფესიული ზრდაც. რაც შეეხება მომავალს, არ მიყვარს გეგმების წინასწარ გამჟღავნება, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილებები ყოველთვის ახალი ჰორიზონტებისაკენ მიმიყვანს და ნაბიჯ-ნაბიჯ კიდევ უფრო დიდი წარმატებისა და შესაძლებლობების კარს გამიღებს.

ანნა ფართლაძე,
ჩხარის №1 საჯაროს სკოლის კურსდამთავრებული, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი

სკოლის დამთავრებისას მქონდა სინანულის და სიხარულის განცდა. სინანულის იმიტომ, რომ ბავშვობა უკან რჩებოდა, სიხარულის კი იმიტომ, რომ მრჩებოდა საუკეთესო მოგონებები და რაღაც ახალი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში.

გრანტის მიღებისას უდიდესი და უსაზღვრო სიხარული განვიცადე. ჩემთვის სასურველ უნივერსიტეტში სასურველ ფაკულტეტზე სრული დაფინანსებით ჩავირიცხე. მედლის მიღების განცდა რაღაცნაირი ბავშვური სიხარული იყო. სწავლას რომ გიფასებენ სასიამოვნოა ამის შეგრძნება. ახლანდელი გეგმები არის სწავლა, საფუძვლიანი სწავლა. სამომავლო გეგმები კი პროფესიით დასაქმება და წარმატების მიღწევაა.

ნიკოლოზ კუტალაძე,
ძევრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი

როცა სკოლა დავამთავრე, ემოციები ერთმანეთში აირია—ვიგრძენი სიხარული, სიამაყე და ცოტაოდენი შვებაც. ეს იყო გზა, რომელიც წლებმა შექმნა—სირ-

თულეებით, დაუღალავი შრომით, გამარჯვებებითა და გამოწვევებით სავსე. ამ ყველაფრის გააზრებისას მივხვდი, რომ იმ დღეს რაღაც მნიშვნელოვანი დამთავრდა, მაგრამ ამავდროულად, სრულიად ახალი დაიწყო.

სტუდენტობა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში განსხვავებული გამოცდილებაა. პირველად ვიგრძენი სრული პასუხისმგებლობა საკუთარ მომავალზე, დამოუკიდებელი არჩევანის თავისუფლება და, რა თქმა უნდა, გამოწვევებიც. თავის მხრივ, 100%-იანი სახელმწიფო გრანტისა და ოქროს მედლის აღებამ უდიდესი მოტივაცია მომცა- წლების შრომა და თავდადება დამიფასდა. არ იყო მარტივი, მაგრამ დღეს, როცა წარსულს ვაფასებ, ვხვდები, რომ თითოეულმა წამმა თავისი წვლილი შეიტანა ჩემს პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში.

რაც შეეხება მომავალს—უახლოეს მიზნებში უნივერსიტეტში ჩემი ცოდნის გაღრმავება, ახალ პროექტებზე მუშაობა და პროფესიული განვითარება შედის. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში მსურს, ტექნოლოგიების სფეროში მეტად გავერკვე და უწყვეტად ზრდადი ინდუსტრიის ტემპს ფეხი ავუწყო.

ეს ოთხი მოვლენა—სკოლის დამთავრება, სტუდენტობა, გრანტის მოპოვება და ოქროს მედალი—ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპებია. თითოეული მათგანი ახალი კარის გაღებას ჰგავდა, ახალ შესაძლებლობებს, ახალ გამოწვევებსა და იმედს მომავლის მიმართ. ახლა, როცა ახალი გზით ვიწყებ სვლას, ვიცი, რომ წინ ბევრი საინტერესო რამ მელოდება და მზად ვარ ამ გზაზე კიდევ უფრო მეტი ვიშრომო.

ნინო ამირანაშვილი,
ჩხარის №1 საჯაროს სკოლის კურსდამთავრებული, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი

როდესაც სკოლა დავამთავრე და სტუდენტი გავხდი, ეს ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრე-

ბელი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში. ბავშვობიდანვე მიზნად მქონდა დასახული, რომ სწავლაში მაქსიმალური შედეგისთვის მიმეღწია, ამიტომაც სკოლაში გატარებული წლები თავდაუზოგავ შრომას მივუძღვენი. როცა საბოლოოდ ეროვნული გამოცდების შედეგები გახდა ცნობილი და გავაცნობიერე, რომ 100%-იანი გრანტი მოვიპოვე, ეს იყო უდიდესი სიხარულისა და თავდაჯერებულობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

სტუდენტობა ჩემთვის სრულიად ახალი ეტაპია. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერებების სწავლა ჩემთვის არა მხოლოდ ცოდნის გაღრმავებას, არამედ იმ გარემოსა და ადამიანების გაცნობას ნიშნავს, რომლებთან ერთადაც მომავალს ვქმნი. სკოლიდან უნივერსიტეტში გადასვლამ დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად დიდი თავისუფლებაც მოიტანა – ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

ოქროს მედლის მიღება ჩემთვის არა მხოლოდ პირადი გამარჯვებაა, არამედ იმ გზის სიმბოლო, რომელიც გავიარე. ეს მოტივაციას მაძლევს, რომ მომავალშიც ასე განვაგრძო და არ გავჩერდე.

რაც შეეხება ჩემს მომავალს, ვაპირებ, ყველა შესაძლებლობა გამოვიყენო, რაც კარიერულ განვითარებაში დამეხმარება. კომპიუტერული მეცნიერება ის სფეროა, რომელშიც პროგრესი არასდროს ჩერდება და მეც მუდმივად განვითარებას ვგეგმავ.

სერგი არაბიძე,
ჩხარის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი

ილუშა ნემსიწვერიძე—იგი წლებმა და სიდუხჭირემ ვერ გატეხეს...

„ყველა ადამიანს თავისი ბედისწერის ვარსკვლავი უნთია. ზოგის კაშკაშაა, ზოგის მბჟუტავი და არავინ იცის, რომელი როდის ჩაიძირება“— ეს სიტყვები ილუშა ნემსიწვერიძის მოგონებებში ამოვიკითხე, რომლის ხელნაწერი ძველ ნაცნობსა და მეგობარს, ჩვენი გაზეთის რედაქტორს დავით კლდიაშვილს გამოუგზავნა.

ვინ არის ილუშა ნემსიწვერიძე და რატომ გაჩნდა მის მოგონებათა კრებულში სიუჟეტი თერჯოლაზე, ამას მისივე ნაამბობიდან გაიგებთ...

ილუშა ნემსიწვერიძე ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ ზუბში დაბადებულა, შემდეგ საცხოვრებლად ოჯახი აფხაზეთში, ახალდაბაში დასახლებულა, სადაც გაიზარდა და დაუმეგობრდა სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ თაიადან საცხოვრებლად, ასევე ახალდაბაში გადასულ ოჯახს, მის თანატოლ პაატა (პატიკო) ოთხოზორიას, რომელიც შემდეგ თერჯოლელთა სიძე გამხდარა. „ბედისწერის ირონიამ ენგურის გამოღმა გადმოგვისროლა, წერს ბატონი ილუშა თავის მოგონებებში. უკვე 33-ე წელიწადია მშობლიური კუთხე და ლამაზი, მდიდრულად მოწყობილი კერა-ბუდე დაგვაკარგვინეს. ბინძური პოლიტიკის მძიმე ბორბალმა გადაგვიარა სამასიათასამდე აფხაზეთელს. ქართველებს ქართველობა აგვეკრძალა. დავკარგეთ ინფრასტრუქტურა, დავკარგეთ საყვარელი ადამიანები, ღირსება და ტერიტორიები...

ვისაც ჯერ კიდევ გულზე ეხატება რუსეთი და რუსები, იმათმა იცოდნენ, რომ იმ ჩრდილოელი ვაიმეზობლებისაგან სიკეთეს ნურასოდეს ელიან, რადგან ის ხან ფარული, ხან კი ღია აგრესორია! რუსეთს არ სჭირდება განვითარებული და ძლიერი საქართველო და არც სხვა. არ გაკეთილშობილდება მონღოლური სისხლნაზავი, შოვინისტური პოლიტიკით გადუღაბებული ქვეყანა, რომელიც საკუთარ გამონათქვამ ანდაზას დღემდე ასრულებს: „ძალა თუ გაქვს, ჭკუა არ გჭირდებაო“.

ორასი წლის მანძილზე გამოვცადეთ, ხან ვეძმეთ, ხან ვემირონეთ, ვემოყვრეთ კიდეც (თამარ მეფე მივათხოვეთ), მაგრამ... კიდევაც გვესროლა (გვესვრის) დაგვანგრია, დაგვხოცა... ჩვენ ყველას ვუღებთ გულის კარებს, მაინც ვძმობთ და მტერ-მოყვარის გარჩევა გვიჭირს. ამ მადლიან, ღმერთისაგან ნაჩუქარ მიწა-ადგილებს ლუკმა-ლუკმა ვკარგავთ! გადაბრალების რეჟიმი კი არაფრის მაქნისია!“

დიახ, გულისტკივილი მშობლიურ კუთხეში საცხოვრისისა და მთელი ქონების დაკარგვის გამო ქუთაისში, ვითომ სტუმრად დაბინავებულს, ჯერაც არ განელებია ბატონ ილუშას...

ისევ აფხაზეთში ცხოვრების დროინდელ მოგონებას უბრუნდება:

„ჩემი მეგობარი პაატა ოთხოზორია ცოლის შერთვას აგვიანებდა, მას დედა ადრე გარდაეცვალა, მას და მის მოხუც მამას ოჯახში ქალის ხელი ნამდვილად სჭირდებოდა. პაატა სავაჭრო ქსელების რევიზორად მუშაობდა და ნამდვილად არ გაუჭირდებოდა საცოლის შერჩევა... როგორც იქნა დატრიალდა ბედის ბორბალი და გადაწყვეტილება გამანდო. სოფელში მამიდასთან სტუმრად მყოფი გოგონასათვის მოუკრავს თვალი და გულში „ჩავარდნოდა“.

საპატარძლო თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბანში მცხოვრები აწ განსვენებული ედიშერ სახელაშვილისა და ნაზიკო გამეზარდაშვილის უმცროსი ქალიშვილი, საბუღალტრო ტექნიკუმის მოსწავლე ცისმარი—ციცო აღმოჩნდა.

„ვოლგით“ გავწიეთ თერჯოლისაკენ. ტექნიკუმში ციცოს მამიდა შევგზავნეთ, რომელმაც მასწავლებელს ჩემი დარიგებისამებრ უთხრა: „გამატანეთ ეს გოგო, სოხუმიდან მანდარინი მაქვს გასაყიდად ჩამოტანილი, დავაწყობ მასთან სახლში და უკანვე მოვიყვანთო“. მივდივართ, ხალისიან გუნებას ვერ ვიოკებ... უკან სავარძლისაკენ მივიხედე რაჭული სიდინჯით და დაკვირვებით და... ხმაც ჩამიწყდა და ენაც გადამეყლაპა. მოგვყავდა სრულიად ბავშვი გოგონა თექვსმეტიოდე წლის, შიშის გრძნობა დამეუფლა...

მეორე დღეს სამეგრელოში გახიზნულებს თავს დაგვესხა საპატარძლოს მამა, თავისი ამალით და მის ქალიშვილს კრიმინალ-გამომძიებელივით დაუწყო დაკითხვა. ჩვენ მოვლენების განვითარებას შიშით ველოდებით. გოგონასთან შინაურმა პროპაგანდამ დადებითი შედეგი გამოიღო. ოდნავ შეღებული კარიდან ციცოს თითებით ციხის გისოსებს ვაჩვენებთ (ედიშერი





ზურგითაა კარისკენ), ამაზე საპატარძლოს გაეცინა, გადაირია მამამისი, გულმოსული გამოვარდა და გაიქცა, მიუხედავად ბევრი ხვეწნა-მუდარისა, პაატას ქვისლს, გონერი რობაქიძეს კი უნდოდა გაჩერება, მაგრამ ისიც სიმამრს გაჰყვა.

ლამაზად მორთული და ხალხმრავალი ქორწილი გადავიხადეთ აფხაზეთის ახალდაბაში. გაჯავრებული მამა ქორწილზე არ დაგვესწრო, მაყრიონი კი გამოაგზავნა“. შემდეგ ბატონი ილუშა ჰყვება როგორ სანიმუშოდ თამადობდა ქორწილს სკოლის ისტორიის მასწავლებელი შოთა ფოჩხუა. თვითონ კი სადღეგრძელოებს შორის როგორ ცდილობდა იმერელი მოყვრებისათვის მოეწონებინა მეგრელი სიძე და საერთოდ მეგრელები. რა ვაჟკაცობის, ყოვლისშემძლეობის, მოხერხებულობისა და განსწავლულობის მაგალითს არ ჰყვებოდა იუმორის ფორმაში, ხან ლექსებით, ხან კურიოზებით, ახალისებდა როგორც იმერელ ასევე დანარჩენ სტუმრებს...

„წლები წლებს გაედევნა, წერს ბატონი ილუშა, ცხოვრების რიტმი და მაჯისცემა გაუმჯობესდა. თერჯოლა და ოჩამჩირე ლამის ერთმანეთისაკენ მივწიეთ. ბევრჯერ მოვილხინეთ პაატას ცოლოურს ალისუბანში, ასევე ჩვენს ახალდაბაში. მიუხედავად ამ ცოლ-ქმრის ასაკობრივი სხვაობისა (18 წელი) მათ შექმნეს წმინდა სიყვარულისა და ურთიერთ ხასიათშეწყობის საფუძველზე სამაგალითო ოჯახი, აიშენეს ახალდაბაში ორსართულიანი მდიდრული სახლი და შეეძინათ ხუთი შვილი, ოთხი გოგონა და ერთი ვაჟი.

როდესაც მეოთხე გოგო შეეძინათ პაატა—პატიკო სამშობიაროში ყვავილებით მივიდა და მეუღლეს წერილთან ერთად შეუგზავნა. „ჩემო საყვარელო ციცო, გილოცავ მეოთხე ქალიშვილის შეძენას, უფალმა ჯანმრთელი გაგვიზარდოს, იფიქრე მეხუთეზე...“

დიახ უფიქრია და მეხუთე „ბიჭი დაბადებულა“...

***

ახლა მეგობრები ორივე თავიანთი ოჯახებით, რომლებიც ქუთაისში „სტუმრად“ მოვიდნენ, ისევ ქუთაისის ბინადარნი არიან, ცხოვრებას აგრძელებენ მეგობრობაში და რა თქმა უნდა, დიდი ტკივილით აფხაზეთზე.

ბატონ ილუშას თავისი მოგონებათა ჩანაწერები, წიგნად გამოუცია და ახლახანს ჩვენი გაზეთის რედაქტორს საჩუქრად გამოუგზავნა. წიგნში მრავალი საინტერესო და საგულისხმო მოგონებაა, რომელსაც არც სევდა აკლია და არც იუმორი...

მზია ცქიფურიშვილი



სურათზე: პირველ რიგში მარჯვნივ პირველი პატიკო ოთხოზორია, მეორე ილუშა ნემსიწვერიძე. მეორე რიგში მარცხნიდან პირველი ბავშვით ხელში ციცო ნემსიწვერიძე, მის წინ მარცხნიდან პირველი ციცოს ძმა უახლოეს მეგობრებთან ერთად აფხაზეთში.

აფხაზეთი, ახალდაბა. ილუშა ნემსიწვერიძის საცხოვრებელი სახლი ომამდე.

გილოცავთ, იმრავლონ და მრავალჟამიერ!

ციცო პაპიძეს და ვალერიან (ვალტერი) გოგიაშვილს ვულოცავთ პირველი შვილიშვილის, პატარა მარიამის დაბადებას.

მათთან ერთად, ახალშობილის მშობლებს—ქეთევან გოგიაშვილსა და მიშა ჩუბინიძეს ვუსურვებთ შვილთა სიმრავლეს, მათ ჯანმრთელობას და ერისა და ბერისათვის სასიქადულო მამულიშვილებად აღზრდას...

სიყვარულით რედაქციელები

„ცეცხლით და შანთით“ შემონახული დედა ენის ზეიმი

ღვანკითის საჯარო სკოლაში (დირექტორი ინგა ჯალიაშვილი) ყველა ღონისძიება, რომ მაღალ დონეზე და გამორჩეული. 14 აპრილიც გამორჩეულად ტარდება. მესამე კლასის (მასწავლებელი და ხელმძღვანელი ცირა მურჯიკნელი). ღონისძიებამ „ენა ქართული დედაა ჩვენი“ დაადასტურა, მთელი კვირა მიუძღვნეს დედაენის დღეს და ჩაატარეს კითხვის, კალიგრაფიის, ხატვის კონკურსები, მხიარული სტარტები.

მასწავლებელს გვერდში ედგნენ მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. კვირეულის ბოლო დღე. ღონისძიებას „ენა, ქართული დედაა ჩვენი“—ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის კვალი ეტყობოდა. მესამე კლასის მოსწავლეებმა: ნიკოლოზ ბოჭორიშვილმა, ბარბარე, იანი, ჯემალ ბუსკივაძეებმა, ნინი პერანიძემ, ნია, გაბრიელ რობაქიძეებმა, გვანცა კაპანაძემ, ლილე, ცოტნე კუბლაშვილებმა, კახა, მათე სარდანაძეებმა, ბარბარე ქურცაძემ, გიორგი ყურაშვილმა აჩვენეს, რომ მათ გაუსწრეს თავიანთ ასაკს, და იციან ბევრი, რაც თქმულა და დაწერილა დედა-ენაზე, რაც გამოუვლია ქართულ ენას. იციან, როგორ აღუდგა ქართველი ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გადაწყვეტილებას ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, გაუქმების შესახებ.

„რაც გულის ფიცარზე გვაწერია“

ასე მესამე კლასელებმა თქვეს. თქვეს, რომ „ჩემი ენა ღვთიური საგალობელია“, „მამული, ენა, სარწმუნოება“, ეს ის სამებაა, რომლის წყალობით საქართველო გადარჩა. ქართული ენა ქრისტეს ენაა, ეს არის ენა, რომელზედაც იწერებოდა უძველესი საგალობლები, ლოცვები. ქართული ენა ლაზარეა, იგი პირველი, მთავარი ენაა. ენა ქართული მარგალიტივით უგოგმანებია ქართველს და ჩვენთვის ჩაუბარებია.

საუკუნეების განმავლობაში უცხო ტომთა ბატონობამ თავისი დაღი დაასვა ქართულ ენას, ბევრი ჩვენი წინაპრის სისხლი არის დაღვრილი მის შესანარჩუნებლად.

ესე, ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა, ამან განავნაა! ღმერთია, ბედისწერაა, ზღვა როა, იმოდენაა. ენა ქართული დედაა ჩვენი, ენა ქართული ძალაა ჩვენი, ენა ქართული—სისხლი და ხორცი ქართველი კაცის, ენა ქართული შემონახული ცეცხლით და შანთით...

და თქვეს კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი. წაიკითხეს თითქმის ყველა ლექსი, რაც ქართველ პოეტებს დაუწერია და მიუძღვნიათ ქართული ენისადმი.

რცო ენა ქართული, ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული, ქარტეხილებს გადაურჩნენ ბრძოლით, ლოცვით, ვედრებით.

ქართულმა ენამ და სარწმუნოებამ გადაარჩინა ჩვენი ერი და გადაარჩენს მომავალში. ქართველი მარტო ენაა?!

ქართული ქართველთ რწმე-

ღონისძიებას პირველკლასელები სტუმრობდნენ...

პირველკლასელები (მასწავლებელი ნანა ტყემალაძე) ინტერესით ისმენდნენ მესამეკლასელების მიერ წარმოთქმულ ამაღელვებელ სიტყვებს. მართალია ისინი ჯერ ძალიან პატარები არიან, მალე ჩაატარებენ ასეთ ღონისძიებას და ასე იქნება მარადიულად—ქართული ენა არ წახდება და არც ერი დაეცემა.

ღონისძიება შეაფასა და სიტყვით გამოვიდა პედაგოგი ეთერ ენუქიძე. იგი სკოლის მოსწავლე იყო, 1978 წელს თბილისში გამართულ მიტინგს ხომ ესწრებოდა. მან გაიხსენა რა ერთსულოვნებით, ერთი მიზნით და სულისკვეთებით შეიკრიბა ქართველი ერი ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის შესანარჩუნებლად.

მიზანი მიღწეულ იქნა, კრემლმა უკან დაიხია—საქართველოში მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ქართული ენის სტატუსი დააკანონა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მესამეკლასელთა მშობლები, მათ მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ცირას და მუსიკის პედაგოგს მარინა ბოჭორიშვილს, მათი შვილების მომზადებაში აქტიური ჩართვისთვის.

ჟუჟუნა ცხადაძე

ამჯერად ბრინჯაო

22-28 აპრილს, კვიპროსში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამბოში, თერჯოლელი სპორტსმენები, ლუკა ნიქაბაძე და ქეთი ბუცხრიკიძე ევროპის პრიზიორები გახდნენ და სამშობლოში ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ.

თერჯოლელ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს ლერი ჯიხვაშვილს ვულოცავთ ამ წარმატებას!

წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს მოჭადრაკეებს

მაკარიძე ბარბარე და გაბრიჭიძე გეგა. საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა. ქ ფოთი.

ბარბარე მაკარიძემ 8 წლის გოგონებში მოიპოვა მე-3 საპრიზო ადგილი და საქართველოს ჩემპიონატის საგზური, გეგა გაბრიჭიძემ ასევე მოიპოვა ჩემპიონატის საგზური.

ჩიტიძე ტარიელი. ქუთაისი, იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი. დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი

იოანე მემანიშვილი. ყველაზე პატარა მოჭადრაკე, 5 წლის, ახალთერჯოლის ბაღის აღსაზრდელი

ქ. თერჯოლის მე-3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნონა და ზვიად ურიადმყოფელებს ბიძის

ალექსანდრე კვაშილავას

გარდაცვალების გამო.

„წმიდა გიორგის ნათელი ზედ მოჰფენია გორასა“...

6 მაისი, გიორგობა, გოგნი, დილის 6 საათი...



6 მაისს სრულიად საქართველომ იზეიმა ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული გიორგობა, ანუ „ხსენება დიდებულისა და საკვირველმოქმედისა გიორგისა“... როგორც ყოველთვის, ამ წელსაც განსაკუთრებული სიყვარულით, პატივისცემით, მადლიერებითა და იმედით მიეახლა გოგნის წმინდა გიორგის სალოცავს, ე.წ. გოგნის „კარუგდებელს“ ათასობით თაყვანისმცემელი მრევლი, როგორც ჩვენი და მეზობელი რაიონებიდან, ასევე საქართველოს ყველა კუთხიდან...

მრავალი მათგანი წინა საღამოდან, ღამისთევით სწორედ აქ, ამ უწმინდეს ადგილას დანთებული სანთლებით მუხლმოდრეკილი შეეგება გიორგობის ალიონს...

მომლოცველთა უწყვეტი ნაკადი მოედინება ადრე დილიდან, რომელთა შორის არიან დიდები თუ პატარები, რომლებიც მოჰყავთ მშობლებს, რომ წმინდა გიორგის მადლმა უწინამძღვროთ. აქ არიან აგრეთვე ადამიანები ჯანმრთელობისა და ცხოვრებისეული პრობლემებით იმ იმედით, რომ უფალი შეეწევა თითოეულს...

ბევრი მათგანი ფეხშიშველი, სანთლებით, შესაწირავი ბატკნებით და მამლებით გარს უვლის სალოცავს, შემდეგ ძნელად, თუმცა მაინც ახერხებს „კარუგდებლის“ პატარა სამლოცველოში შესვლას, სადაც ხატებია და უამრავი სანთელი იღვენთება, მუხლმოდრეკილნი ევედრებიან და სთხოვენ უფალს ჯანმრთელობას, სიკეთეს, ხვავსა და ბარაქას, საქმიანობაში ხელის გამართვას, თავიანთი ოჯახების, ახლობლების, მოკეთეების კეთილდღეობას და რაც უმთავრესია, საქართველოს და მის მომავალს ავედრებენ უფალს...

მომლოცველთა უმრავლესობა წმიდა გიორგის სახელზე იქვე ახლად აგებულ სალოცავშიც ანთებს სანთლებს. ეს ტაძარი დიდი შენაძენია სრულიად ქრისტიანული საქართველოსათვის...

აქ სალოცავად მისულთ ნამდვილად სწამს და სჯერა, რომ წმინდა გიორგის სახელის დიდება და პატივისცემა, მისთვის დანთებული სანთელი და შესაწირი მათი პრობლემების გამოსწორებას მოიტანს.

ძნელია, მოკლედ გადმოსცე და სტრიქონებში ჩაატიო ყველა ემოცია და შთაბეჭდილება, რასაც აქ, გოგნში გიორგობაზე განიცდი და ხედავ. მაგრამ უმთავრესი მაინც უნდა ითქვას— აქ ადამიანებს უფლის სიყვარული, რწმენა და მომავლის იმედი ნამდვილად აერთიანებთ...

გოგნის წმინდა გიორგის მადლი შეეწიოს სრულიად საქართველოს...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

„ლიბერთი ბანკი“

LBRTGE22,

ანგარიში

GE32LB0113133960124000

ს/კ 231948872